ევროკავშირი და საქართველო

პარტნიორობა ახალგაზრდების საკეთილდღეოდ

იცით თუ არა რომ ...

2011 წელი ევროკავშირში მოხალისეთა წლადაა გამოცხადებული. ევროკავშირის მოხალისეთა სამსახურის პროგრამა (EVS) მოგზაურობის, სასარგებლო საქმის კეთებისა და ენების შესწავლის შესანიშნავი შესაძლებლობაა. მასში მონაწილეობა მასაც შეუძლია, ვინც არ არის ევროკავშირის მოქალაქე. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: http://ec.europa.eu/youth/youth-in-action-programme/doc და http://www.salto-youth.net/rc/eeca.

Erasmus Mundus

ერაზმუს მუნდუსის სტიპენდიები და აკადემიური თანამშრომლობის პროგრამა ღიაა ქართველი სტუდენტებისათვის. 2004-2011 წწ. ამ პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 32 ქართველმა სტუდენტმა და 5 მეცნიერმა. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: http://eacea.ec.europa.eu/erasmus_mundus

Tempus

ქართველ მეცნიერებს შეუძლიათ განახორციელონ კვლევითი პროგრამები ევროპის უნივერსიტეტებში. 1995-2011 წლებში შემუშავებულ იქნა 41 ქართული სამეცნიერო პროექტი. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: http://eacea.ec.europa.eu/tempus

თანამშრომლობა, იდეები, ადამიანები და შესაძლებლობები - ეს ევროკავშირის კვლევების პოლიტიკის ოთხი ძირითად ამოცანაა. ევროკავშირი და პარტნიორი ქვეყნები ერთად მუშაობენ სამეცნიერო კვლევის ცენტრების ხელშეწყობისა და განვითარებისთვის. ამ ამბიციურ პროგრამაში მონაწილეობით ქართველი მეცნიერები, კვლევითი ცენტრების ეკონომიკურ ზრდაში, კონკურენტუნარიანობასა და დასაქმებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: http://cordis.europa.eu/fp7

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
ნინო ჩხეიძის 38
თბილისი 0102, საქართველო
ტელ.: (995 32) 943763
ფაქსი: (995 32) 943768
DELEGATION-GEORGIA@eeas.europa.eu
www.eeas.europa.eu/delegations/georgia

იცით თუ არა რომ ...

„ევროკავშირი 27 წევრი ქვეყნის გაერთიანებაა, რომლის წევრები არიან: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ირლანდია, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, პოლონეთი, პორტუგალია, საფრანგეთი, საბერძნეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი და ჰოლანდია. წლების მანძილზე ეს ქვეყნები ერთმანეთისთვის ცოდნას, გამოცდილებას და რესურსებს არ ზოგავდნენ და საერთო მომავალს ქმნიდნენ. 50 წლის განმავლობაში ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ერთად შექმნეს სტაბილური სივრცე დემოკრატიისა და მდგრადი განვითარებისთვის. ამ პროცესში მათ შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და ადამიანის პირადი თავისუფლებები. ევროკავშირის ამოცანა სწორედ ამ მიღწევების და ფასეულობების გაზიარებაა მის საზღვრებს გარეთ მყოფი ადამიანებისა და ქვეყნებისთვის.

ევროკავშირი

ევროკავშირის შექმნისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი 1950 წელს, ექვსი სახელმწიფოს მიერ „ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი გაერთიანების“ ჩამოყალიბება იყო.

ბოლო 60 წლის განმავლობაში ახალი სახელმწიფოების გაწევრიანების შედეგად ევროკავშირი გაფართოვდა და „ეფუძნება ისეთი ღირებულებების პატივისცემას, როგორიცაა ღირსება, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები, მათ შორის უმცირესობების უფლებები... ეს არის საზოგადოება, სადაც მეფობს პლურალიზმი, არა-დისკრიმინაცია, შემწყნარებლობა, სამართლიანობა, სოლიდარობა და ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობა.”

ევროკავშირს 130 წარმომადგენლობა თუ ოფისი აქვს გახსნილი მთელს მსიფლიოში.

მთელი მსოფლიოში გაიხსნა ევროკავშირის დიპლომატიური მისიები, ევროკავშირს წარმომადგენლობა აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, დიდ რვიანსა და დიდ ოცეულში. ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ხელმძღვანელობს ევროპის საგარეო სამსახურს (EEAS) - საგანგებო უწყებას, რომელიც ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დიპლომატიური კორპუსის ფუნქციებს ასრულებს.

ევროკავშირის მოსახლეობა 500 მილიონს აღემატება. 2010 წელს ევროკავშირის წილი გლობალურ ეკონომიკაში დაახლოებით 26% შეადგენდა.

ევროკავშირი განვითარებაზე მიმართული დახმარების უმსხვილესი დონორია მთელს მსოფლიოში.

ბოლო ორი წლის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით გაწეული დახმარების 60% ევროკავშირზე მოდის (იგულისხმება როგორც ევროკომისიის, ისე ცალკეული წევრი სახელმწიფოების მიერ გაწეული დახმარება). ევროკავშირი სხვა მდიდარ ქვეყნებზე მეტ დახმარებას გამოყოფს განვითარებისა და ჰუმანიტარული მიზნებისათვის. ევროკავშირი, ასევე, იღწვის ღარიბი ქვეყნებისათვის უფრო სამართლიანი ვაჭრობის წესების დასამკვიდრებლად.

ევროკავშირი 2 მილიონზე მეტ ახალგაზრდას დაეხმარა სხვა ქვეყანაში განათლების მიღებაში.

სასწავლებლად საზღვარგარეთ გამგზავრება განათლების მიღების უნიკალურ გამოცდილებას იძლევა. ევროკავშირის საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამები და სახელმწიფოთაშორისი პარტნიორობის ფორმები, მაგალითად, ერაზმუს მუნდუსი, უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას და სტიპენდიებს მოქალაქეებისათვის. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: http://www.eacea.ec.europa.eu/erasmus_mundus

ევროკავშირი წამყვან როლს ასრულებს ჰაერის დაბინძურებისა და გლობალური დათბობის გამომწვევი მიზეზების შემცირების საქმეში.

ევროკავშირი სათავეში უდგას გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებაზე მიმართულ მსოფლიო ძალისხმევას. კლიმატური ცვლილებების თავიდან ასაცილებლად ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიძლება მეტმა ქვეყანამ განახორციელოს „კიოტოს ოქმით” გათვალისწინებული საქმიანობა.

ევროკავშირი მტკიცედ იცავს წესს, რომლის მიხედვითაც ქალსა და მამაკაცს ერთნაირი სამუშაოს შესრულებისათვის ერთნაირი ხელფასი უნდა ჰქონდეთ.

1950 წლებიდან მოყოლებული, ევროკავშირის პირველი ხელშეკრულებები შეიცავდა მკაფიო წესებს იმის თაობაზე, რომ ერთნაირი სამუშაოს შესრულებისათვის ქალსა და მამაკაცს თანაბარი ანაზღაურება უნდა ჰქონდეთ. ამ კუთხით ევროკავშირმა მონინავე როლი შეასრულა ქალთა უფლებებისათვის ბრძოლაში და ეს ევროკავშირის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ:

http://eeas.europa.eu/delegations/georgia

ევროკავშირსა და საქართველოს თითქმის 20-წლიანი პარტნიორობა აკავშირებთ....

1992 ევროკავშირსა და საქართველოს შორის ორმხრივი ურთიერთობების დასაწყისი

1999 ძალაში შედის ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ

2006 ევროკავშირისა და საქართველოს თანამშრომლობის საბჭო ამტკიცებს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმას

2008 ევროკავშირის თაოსნობით ეწყობა ბრიუსელის დონორთა კონფერენცია, სადაც განისაზღვრა საქართველოსათვის 500 მილიონი ევროს ოდენობის დახმარების გაწევა

2010 დაიწყო მოლაპარაკებები ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების შესახებ

2011 ძალაში შევიდა ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის ხელშეკრულებები, რაც საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის ვიზების მიღებას უფრო ადვილს და იაფს გახდის.

საქართველოში მოქმედებს ევროკავშირის სამი ძირითადი ორგანო:

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში (http://eeas.europa.eu/delegations/georgia)

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოს კრიზისის საკითხებში (http://www.consilium.europa.eu/showPage.aspx?id=1523&lang=EN)

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (http://www.eumm.eu)

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ:
ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
http://eeas.europa.eu/delegations/georgia

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის საინფორმაციო ცენტრი საქართველოში
http://www.enpi-info.eu/countryeast